

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სენატის

2015 წლის 22 მაისის №81 სხდომის მიერ
გამოკითხვის წესით მიღებული

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა |

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს თხოვნით მომართა შპს „კოლოსი XXI-მა“ ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის ქუჩა №60-ში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის მოსაზღვრედ მდებარე ნაკვეთში, თავის საკუთრებაში მყოფი №1 და №2 შენობა-ნაგებობების დემონტაჟის თანხმობასთან დაკავშირებით.

სენატმა დაადგინა: მიეცეს თანხმობა შპს „კოლოსი XXI-ს“, განახორციელოს ი. ჭავჭავაძის ქუჩა №60-ში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის მოსაზღვრედ მდებარე თავის საკუთრებაში მყოფი №1 და №2 შენობა-ნაგებობების (ფლიგელების) (ს/კ 01.14.11.003.025) დემონტაჟი, წერილზე თანდართული, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 31 დეკემბრის №007245414 დასკვნით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 22 მაისის №81 სხდომის მიერ

გამოკითხვის წესით მიღებული

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი სტუ-ის 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ: 2015 წლის 27 და 28 აპრილს შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, სტუ არის 24 სამეცნიერო პროექტში გამარჯვებული წამყვანი ორგანიზაცია, სადანაც 12 პროექტი არის გამოყენებითი და სტუ წარმოადგენს თანადაფინანსებელ ორგანიზაციას, ხოლო 12 პროექტი – ფუნდამენტური. სამეცნიერო პროექტების მთლიანი მოცულობა 2015 წლის საანგარიშო პერიოდისათვის შეადგენს 1 821 502 ლარს, ხოლო სტუ-ის მიერ თანადაფინანსების I ტრანშის გადასარიცხი თანხის მოცულობა შეადგენს 210 560 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი სამეცნიერო გრანტებიდან შემოსავლებით გაიზარდოს 1 821 502 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს ბიუჯეტის ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებში, თანდართული ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად; რაც შეეხება თანადაფინანსების წილს, 210 560 ლარს, სტუ-ის ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯთაღრიცხვის არაფინანსური აქტივების ელ. მოწყობილობების შეძენის მუხლიდან 55 560 ლარი, ხოლო კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლიდან 155 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების, სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების მუხლში. თანადაფინანსების ხარჯვითი ნაწილი განხორციელდეს კანონმდებლობით ნებადართული წესით.

ასევე, სტუ არის 2014 წლის გამარჯვებული სამეცნიერო პროექტების თანადაფინანსებელი წამყვანი ორგანიზაცია III ტრანშის ფარგლებში, სადაც თანადაფინანსების

წილი 2015 წლისათვის შეადგენს 110 620 ლარს, რომელიც ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯთაღრიცხვაში ბიუჯეტის დამტკიცების დროს გათვალისწინებული იყო საქონელი და მომსახურების, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების არაკლასიფიცირებული ხარჯების მუხლში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თანადაფინანსების წილი, 110 620 ლარი, საქონელი და მომსახურების, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლიდან გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების, სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების მუხლში. თანადაფინანსების ხარჯვითი ნაწილი განხორციელდეს კანონმდებლობით ნებადართული წესით.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე